



სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის

2026 წლის სამოქმედო გეგმა

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებისა და სხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთათვის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება სახელმწიფო ადმინისტრირების მიმართულებით.

მიზნის მისაღწევად სკოლა მოქმედებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის - „ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება“ ფარგლებში და ახორციელებს სწავლებას ორი მიმართულებით:

- ❖ სახელმწიფო ენის სწავლება და ინტეგრაცია;
- ❖ საჯარო მართვა და ადმინისტრირება.

დაარსების დღიდან სკოლა უწყვეტად ვითარდება ინტერნაციონალიზაციისა და შიდაუწყებრივი ინსტიტუციური და სტრუქტურული გაძლიერების გზით და აფართოებს საქმიანობას სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. წლების განმავლობაში ეტაპობრივად გაიზარდა როგორც სამიზნე ჯგუფების რაოდენობა, ასევე გეოგრაფიული დაფარვის არეალი და ხელმისაწვდომობა, განვითარდა მიზნობრივი პროგრამები.

სკოლის მანდატისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასევე, გაიზარდა სკოლის როლი სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის არაერთი სტრატეგიული მიმართულებით, რაც ასახულია შემდეგ სექტორული და ინსტიტუციური დონის სტრატეგიულ დოკუმენტებში, რომელთა შესაბამის სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულია ამოცანები და აქტივობები სკოლის პასუხისმგებლობითა და პარტნიორობით:



1. ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია;¹
2. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030 წწ;²
3. საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2021-2030 წწ;³
4. 2022-2030 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა (პროექტი);
5. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია);⁴
6. სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026;
7. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა.

რამდენადაც საქართველოს ხელისუფლება ახდენს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციას, ნებისმიერი სექტორული პოლიტიკის განხორციელების პროცესში ხდება აღნიშნული დღის წესრიგის პრინციპების იმპლემენტაცია. შესაბამისად, სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს „არავინ დარჩეს მიღმა/უფლებელყოფილი“ (No one left behind) პრინციპზე დაყრდნობით, რათა შესაძლოდ იდენტიფიცირებადი ყველა სამიზნე ქვეჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მათ საჭიროებებზე მორგებული პროგრამები და სასწავლო კურსები.

შვანიას სკოლა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისას, თანხვედრაში მოდის მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებთან (SDG):

მიზანი (SDG) 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი (SDG) 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი (SDG) 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი (SDG) 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი (SDG) 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება;

მიზანი (SDG) 17 - თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის.

სკოლას დამტკიცებული აქვს 2021-2026 წლების განვითარების სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმებს. წარმოდგენილი „სკოლის 2026 წლის სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებს სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს, ზემოხსენებული სექტორული

¹ [ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია.](#)

² [სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030 წწ.](#)

³ [საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2021-2030 წწ.](#)

⁴ [სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა \(სტრატეგია\).](#)



სტრატეგიული დოკუმენტების ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს, ეფუძნება გასულ წლებში განხორციელებულ საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებს, პასუხობს გამოკვეთილ საჭიროებებსა და გამოწვევებს. წინამდებარე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა 2025 წელს შვანიას სკოლაში განხორციელებული და ინსტიტუციური ცვლილებები.

მიზანი 1 - ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უფლებამოსილების ეფექტიანად აღსრულებისთვის მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების შექმნა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 1.1. პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდა პროგრამებისა და სერვისების დივერსიფიკაციის გზით.

ჩატარდება თვითმმართველობების სატრენინგო საჭიროებების კვლევა; გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები; შეიცვლება სატრენინგო მომსახურების ტარიფი არსებული მოთხოვნების შესაბამისად; განვითარდება/შემუშავდება საჭიროებებზე მორგებული სატრენინგო კურსები/პროგრამები; მოხდება საჯარო მართვისა და ადმინისტრირების მიმართულებით სატრენინგო პროგრამების პოპულარიზაცია.

ამოცანა 1.2. პროგრამის ბენეფიციართა შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდა.

გაიმართება ეთნიკური/ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ორგანოების/საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები; განხორციელდება სასწავლო-სატრენინგო კურსები.

ამოცანა 1.3. რეფორმების მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადების მიზნით.

განხორციელდება საჯარო მართვისა და ადმინისტრირების როგორც საბაზისო აკრედიტებული, ისე სხვა თემატური პროგრამები; გადამზადდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოხელეები.

ამოცანა 1.4. საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში ხარისხიანი სატრენინგო მომსახურების მიწოდება სამიზნე ჯგუფებისათვის.

განხორციელდება სატრენინგო პროგრამის/კურსის ბენეფიციართა დამსაქმებლების/ტრენერების გამოკითხვა; გაანალიზდება შედეგები და გამოვლინდება საჭიროებები შემდგომი რეაგირებისთვის; გადაიხედება საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში არსებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და, საჭიროების შემთხვევაში, განახლდება; განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით პროცესების მონიტორინგი.



მიზანი 2 - საჯარო მოხელის პროფესიის პოპულარიზაცია და საჯარო სექტორის თანამედროვე მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ამოცანა 2.1. საჯარო სექტორში დასაქმებით დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციებისთვის შესაძლებლობების შექმნა და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

გაიმართება ღია აკრის დღეები მოსახლეობის ინფორმირების, ცნობიერების ამაღლების მიზნით; მოეწეობა შეხვედრები თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელი წარმატებული საჯარო მოხელეების მონაწილეობით.

ამოცანა 2.2. საჯარო მოხელის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით დამატებითი სერვისების შექმნა და ცნობიერების ამაღლება.

შემუშავდება სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო სერვისი.

ამოცანა 2.3. საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსებზე სწავლა/სწავლების პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით.

უწყვეტად განხორციელდება სასწავლო პროცესის სწავლების მონიტორინგი, პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

მიზანი 3 - საქართველოში ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და თანამედროვე გამოწვევების და მოთხოვნების შესაბამისად მათი განხორციელება.

ამოცანა 3.1. სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდა სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე და სახელმწიფო ენის სტანდარტებზე მორგებული პროგრამების და დამატებითი საორიენტაციო სერვისების განვითარების გზით.

ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებით განახლდება სატრენინგო პროგრამები/კურსები, მათ შორის, პილოტირებული კურსები და დარგობრივი პროგრამები; განახლდება შესაბამისი სახელმძღვანელოები, სასწავლო სილაბუსები და შეფასების ინსტრუმენტები; გადამუშავდება პრეტესტი; მომზადდება მოსმენის კომპეტენციის განვითარებისთვის საჭირო რესურსები შესაბამისი კურსებისთვის; შეიქმნება რესურსების/ტესტური დავალებების ბანკი ქართული ენის ცოდნის დონეების მიხედვით.



ამოცანა 3.2. სახელმწიფოს მიერ ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერა.

გადამზადდებიან სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები როგორც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ისე მის მიღმა. განხორციელდება UNESCO-ს მხარდაჭერილი პროექტი - „უნარების განვითარების გზით, საქართველოში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა მოთხოვნად მიმართულებებში“.

ამოცანა 3.3. სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ხარისხიანი სატრენინგო მომსახურების მიწოდება სამიზნე ჯგუფებისათვის.

განხორციელდება მონიტორინგი: სასწავლო პროცესის, მსმენელთა ჩარიცხვისა და პირადი საქმეების წარმოების, პერსონალურ მონაცემთა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობის კუთხით. მომზადდება პროტესტისა და გასაუბრების წესი; განახლდება და დაინერგება მსმენელთა ელექტრონული ბაზა და ჟურნალი.

ამოცანა 3.4. - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა.

განხორციელდება საინფორმაციო-საკონსულტაციო კამპანია სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობაზე, სახელმწიფო ენაში მომზადებისა და ინტეგრაციის პროგრამებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით; გაიმართება ქართული ენის დაცვის - დედაენის დღისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული; სკოლა ჩაერთვება ქალაქების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში; ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ქუჩის ბილბორდებზე განთავსდება თემატური ბანერები; სკოლა აქტიურად ითანამშრომლებს მედიასაშუალებებთან და აქტიურად იქნება წარმოდგენილი სოციალურ ქსელში; განახლდება სკოლის ოფიციალური ვებგვერდი.

მიზანი 4. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მალაღმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა და სხვა სამიზნე ჯგუფებისთვის ინტეგრაციის ხელშემწყობი სერვისების განვითარება და მიწოდება.

ამოცანა 4.1. ინტეგრაციის ხელშემწყობი სერვისების განვითარება და მიწოდება.

მსმენელთა და ტრენერთა გამოკითხვის გზით იდენტიფიცირდება ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობების საჭიროებები; მოეწეება გასვლითი თემატური გაკვეთილები; სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან და ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, ჩატარდება სამიზნე ჯგუფების ინტერესებს მორგებული სემინარები და ვორქშოპები; განვითარდება თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით სახელმწიფო ან/და კერძო ინსტიტუტებთან/ორგანიზაციებთან ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობების/ინიციატივების დაგეგმვის მიზნით.

ამოცანა 4.2. სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ახალი პროგრამების/კურსების შემუშავება.

შეფასდება სამიზნე ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი პროცესში სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის როლი და ეფექტიანობა; შემუშავდება ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებზე მორგებული ქართული ენის სწავლების მიზნობრივი პროგრამები/კურსები.



მიზანი 5 - ჟვანიას სკოლის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა

ამოცანა 5.1. ხარისხის საერთაშორისო მექანიზმების დანერგვა.

განხორციელება ხარისხის მართვის სისტემის შიდა და გარე აუდიტი; გადაიხედება და, საჭიროებისამებრ, განახლება მარეგულირებელი დოკუმენტები; დაინერგება საერთაშორისო გამოცდილება სასწავლო/სატრენინგო ხარისხის მართვის მიმართულებით; სკოლა დაიწყებს მზადებას საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი ხარისხის მართვის სისტემის ISO 21001:2018 დანერგვის მიზნით.

ამოცანა 5.2. ადამიანური რესურსის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მხარდაჭერა.

ამაღლდება თანამშრომლებისა და ტრენერების ცნობიერება ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებით; გადამზადდებიან შრომის უსაფრთხოების საკითხებში; გადამზადდებიან ტრენერები და შემფასებლები; განახლება ბაზები; შემუშავდება და დაინერგება ტრენერთა შეფასების წესი/სისტემა; შემუშავდება ტრენერთა მომზადება-გადამზადების გრძელვადიანი პროგრამა.

ამოცანა 5.3. საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესების გამლიერება და ერთობლივი პროექტების/პროგრამების განხორციელება.

გაფართოვდება და გაღრმავდება თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ფორმატში; არსებული თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, დაიგეგმება და განხორციელდება ერთობლივი პროექტები/ინიციატივები მსოფლიოს საჯარო ადმინისტრირების ეროვნულ ინსტიტუტებთან/სკოლებთან თანამშრომლობით.



N	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	დადასტურებ ის წყარო	პასუხისმგებელი პირი/პირები	განხორციელების პერიოდი				შესრულების ვადა (კვარტალი)	დაფინანსებ ის წყარო/წყარ ოები	შედეგი
					I	II	III	IV			
მიზანი #1 - ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უფლებამოსილების ეფექტიანად აღსრულებისთვის მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების შექმნა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა											
ამოცანა 1.1. პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდა პროგრამებისა და სერვისების დივერსიფიკაციის გზით											
1.1.1	ადგილობრივი თვითმმართველობების სატრენინგო საჭიროებების კვლევისათვის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და შემუშავება	შემუშავებული მეთოდოლოგია (1 დოკუმენტი)	მეთოდოლოგიის დოკუმენტი	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					I	სახელმწიფო ბიუჯეტი	სკოლას აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგია თვითმმართველობების სატრენინგო საჭიროებების კვლევის ჩასატარებლად.
1.1.2	ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სკოლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით	შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ 20)	შეხვედრების ანგარიში	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					II	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ ინფორმაცია სკოლაში არსებული სატრენინგო მომსახურების შესახებ.
1.1.3	ადგილობრივი თვითმმართველობების სატრენინგო საჭიროებების კვლევა და შესაბამისი ანალიზი	განხორციელებული კვლევა (მინ. 15 თვითმმართველი ორგანოს მონაწილეობით; კვლევის 1 დოკუმენტი)	კვლევის ანგარიში	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					II	სახელმწიფო ბიუჯეტი	გამოვლენილია თვითმმართველობების 2026 წლის ტრენინგ საჭიროებები.
1.1.4	სატრენინგო მომსახურების ტარიფის განახლება/შეცვლა	მომზადებული დადგენილების პროექტი სატრენინგო მომსახურების ტარიფის ცვლილებაზე	დადგენილების პროექტის დოკუმენტი	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					I	სახელმწიფო ბიუჯეტი	განახლებულია სკოლის სატრენინგო მომსახურების ტარიფი.



1.1.5	ადგილობრივი თვითმმართველობის სატრენინგო საჭიროებებზე მორგებული, მათ შორის, მიმდინარე საკანონმდებლო ან სხვა სიახლეებთან დაკავშირებული სატრენინგო კურსების განვითარება/შემუშავება	განახლებული კურსების რაოდენობა (არანაკლებ 3); შემუშავებული კურსების რაოდენობა (არანაკლებ 2)	კურსების დამტკიცების შესახებ ბრძანება	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი/საკუთარი შემოსავლები	შემუშავებულია თვითმმართველობის საჭიროებებზე მორგებული, სატრენინგო კურსები.
1.1.6	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამების/კურსების პოპულარიზება სოციალური ქსელის მეშვეობით	სკოლის ოფიციალურ გვერდზე კურსების შესახებ განთავსებული ინფორმაცია (არანაკლებ 12)	სოციალური ქსელის ბმული	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამების/კურსების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში სკოლის ოფიციალურ გვერდზე.
ამოცანა 1.2. პროგრამის ბენეფიციართა შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდა											
1.2.1	ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ორგანოების/საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩატარება სკოლის სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სატრენინგო საჭიროებების გამოვლენის მიზნით	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ 10); გამოვლენილი სატრენინგო საჭიროებების ნუსხა	შეხვედრების ანგარიში	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					II	სახელმწიფო ბიუჯეტი	ამაღლებულია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების/საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ცნობიერება სკოლის სატრენინგო სერვისების შესახებ; სკოლას აქვს ინფორმაცია აღნიშნული მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების/საჯარო ორგანიზაციების



											სატრენინგო საჭიროებების შესახებ.
1.2.2	ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით სასწავლო-სატრენინგო კურსების განხორციელება ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ორგანოების/საჯარო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის	გადამზადებული საჯარო მოსამსახურეების რაოდენობა (არანაკლებ 40)	ჩარიცხვის ბრძანება	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					IV	საკუთარი შემოსავლები	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მსმენელებს შორის გაზრდილია ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების რაოდენობა.
ამოცანა 1.3. რეფორმების მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადების მიზნით											
1.3.1	სატრენინგო პროგრამის „სკოლის შენობისა და მისი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა“ განხორციელება	გადამზადებული პირების რაოდენობა (არანაკლებ 50)	ჩარიცხვის ბრძანება	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					IV	საკუთარი შემოსავლები	გაზრდილია თვითმმართველობის წარმომადგენელთა უნარები და შესაძლებლობები სამოქალაქო ტიპის შენობა-ნაგებობების მოვლა/პატრონობის კუთხით.
1.3.2	საბაზისო აკრედიტებული პროგრამების განხორციელება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის	გადამზადებული პირების რაოდენობა (არანაკლებ 50)	ჩარიცხვის ბრძანება	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					IV	საკუთარი შემოსავლები	საბაზისო პროგრამების ფარგლებში გადამზადებულია I, II, III, IV რანგის საჯარო მოხელეები.
1.3.3	მუნიციპალიტეტების საჭიროებების კვლევის შედეგად შემუშავებული და სხვა რეფორმების	გადამზადებული პირების რაოდენობა (არანაკლებ 150)	ჩარიცხვის ბრძანება	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების					IV	საკუთარი შემოსავლები	გაზრდილია თვითმმართველობის წარმომადგენელთა უნარები და შესაძლებლობები



	მხარდამჭერი პროგრამების/კურსების განხორციელება			ს პროგრამის მენეჯერი							რეფორმების მხარდამჭერი პროგრამების/კურსების განხორციელების გზით.
ამოცანა 1.4. საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში ხარისხიანი სატრენინგო მომსახურების მიწოდება სამიზნე ჯგუფებისათვის											
1.4.1	სკოლის მიერ საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სატრენინგო პროგრამების/კურსების ბენეფიციართა დამსაქმებლებისა და ტრენერების გამოკითხვა და უკუკავშირის ანალიზი	ჩატარებული გამოკითხვები (ბენეფიციართა დამსაქმებლების/ტრენერების არანაკლებ 80%)	ხარისხის მართვის ანგარიშის დოკუმენტი	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	დაინტერესებული მხარეების (ბენეფიციარები, დამსაქმებლები, ტრენერები) უკუკავშირის საფუძველზე მიღებულია ინფორმაცია საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამების/კურსების განხორციელების შესახებ.
1.4.2	საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების ხელშეწყობი პროგრამების (აკრედიტებული) შეფასება, საჭიროებების გამოვლენა და განხილვა შემდგომი რეაგირებისთვის	მომზადებული რეკომენდაციები	ხარისხის მართვის ანგარიშის დოკუმენტი	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	დაინტერესებული მხარეების (ბენეფიციარები, დამსაქმებლები, ტრენერები) უკუკავშირის საფუძველზე მიღებულია ინფორმაცია საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამების განხორციელების შესახებ; გაანალიზებულია და გამოვლენილია საჭიროებები პროგრამის განვითარებისა და სრულყოფისთვის.
1.4.3	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში არსებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების	დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტი (არანაკლებ 2)	მარეგულირებელი დოკუმენტის ცვლილების პროექტი; დამტკიცების ბრძანება	ხარისხის უზრუნველყოფის ა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი					II	სახელმწიფო ბიუჯეტი	განახლებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; მოწესრიგებულია სწავლების პროცესი.



	განხილვა/გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, განახლება										
1.4.4	შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სამუშაო სივრცის მონიტორინგი საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში უსაფრთხო და ხარისხიანი სერვისების მიწოდების მიზნით	რისკების შეფასების დოკუმენტი (არანაკლებ 2); ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მონიტორინგის ანგარიში	რისკების შეფასების დოკუმენტის ხელმძღვანელობისთვის წარდგენის წერილი; ანგარიშის დოკუმენტი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	მომზადებულია რისკების შეფასების ანგარიშები; გამოვლენილია ხარვეზები; სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში.
1.4.5	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების მონიტორინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად	პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის წლიური ანგარიში	ანგარიშის დოკუმენტი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	შესწავლილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა; მომზადებულია ანგარიშები; გაცემულია რეკომენდაციები.
მიზანი #2 - საჯარო მოხელის პროფესიის პოპულარიზაცია და საჯარო სექტორის თანამედროვე მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება											
ამოცანა 2.1. საჯარო სექტორში დასაქმებით დაინტერესებულ პირებისა და ორგანიზაციებისთვის შესაძლებლობების შექმნა და ხელმისაწვდომობის გაზრდა											
2.1.1	ღია კარის დღეების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით	ჩატარებული ღია კარის დღეები (არანაკლებ 24); მონაწილეთა (ადგილობრივი მოსახლეობა) რაოდენობა (არანაკლებ 400)	სკოლის საქმიანობის კვარტალური /წლიური ანგარიშის დოკუმენტი	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობა ინფორმირებულია სკოლის პროგრამებისა და სერვისების შესახებ.
2.1.2	შეხვედრების გამართვა ადგილობრივ მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოების	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ 10);	ფოტო მასალა; სოციალურ ქსელსა და მედიაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	გამართულია შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოების



	წარმომადგენელ წარმატებულ საჯარო მოხელეებს შორის საჯარო სამსახურის პოპულარიზაციის მიზნით	შეხვედრებში მონაწილე პირთა რაოდენობა (არანაკლებ 150)	განთავსებული ინფორმაცია							წარმომადგენელ წარმატებულ საჯარო მოხელეებს შორის საჯარო სამსახურის პოპულარიზაციის მიზნით.
ამოცანა 2.2. საჯარო მოხელის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით დამატებითი სერვისების შექმნა და ცნობიერების ამაღლება										
2.2.1	სკოლის მსმენელთა საკონსულტაციო სერვისის შემუშავება და ამოქმედება	შემუშავებული მექანიზმი; სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია სერვისის ამოქმედების შესახებ	სოციალური ქსელის ბმული	საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი სკოლის მსმენელებს აქვთ შესაძლებლობა რეგულარულად მიიღონ კონსულტაცია/ინფორმაცია მათთვის საჭირო საკითხების შესახებ, მათ შორის საჯარო სამსახურში დასაქმების შესაძლებლობებზე.
ამოცანა 2.3. საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსებზე სწავლა/სწავლების პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით										
2.3.1	საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება	განხორციელებული მონიტორინგი, როგორც პირისპირ, ასევე, ონლაინ სასწავლო ჯგუფებში (არანაკლებ 80%); განახლებული მონიტორინგის მონაცემთა ბაზა	მონიტორინგის ანგარიში	სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და ტრენერთა შეფასების მენეჯერი; საჯარო მართვისა და ადმინისტრირების პროგრამის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი განხორციელებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მიღებული შედეგების შესაბამისად განვითარებულია სასწავლო პროგრამა.



მიზანი #3 - საქართველოში ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და თანამედროვე გამოწვევებისა და მოთხოვნების შესაბამისად მათი განხორციელება

ამოცანა 3.1. სახელმწიფო ენისა და ინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდა სამიზნე ჯგუფების საჭიროებებსა და სახელმწიფო ენის სტანდარტებზე მორგებული პროგრამების და დამატებითი საორიენტაციო სერვისების განვითარების გზით

3.1.1	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის საწყისი, საბაზისო და საშუალო ქართულის კურსების გადამუშავება	განახლებული სასწავლო სილაბუსები და გადამუშავებული შეფასების ინსტრუმენტები (არანაკლებ 8 კურსი)	დამტკიცების ბრძანება	სასწავლო რესურსების განვითარების მენეჯერი					III	სახელმწიფო ბიუჯეტი	ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებით განახლებულია სატრენინგო პროგრამები/კურსები, შესაბამისად, განახლებულია სასწავლო სილაბუსი და შეფასების ინსტრუმენტები
3.1.2	დარგობრივი პროგრამის - სამოქალაქო განათლება-სასწავლო სახელმძღვანელოს გადამუშავება	გადამუშავებული პროგრამა; განახლებული სასწავლო სილაბუსი; მომზადებული შეფასების ინსტრუმენტები	დამტკიცების ბრძანება	სასწავლო რესურსების განვითარების მენეჯერი					III	სახელმწიფო ბიუჯეტი	განახლებულია დარგობრივი პროგრამის სამოქალაქო განათლება, სასწავლო სახელმძღვანელო, სასწავლო სილაბუსი და შეფასების ინსტრუმენტები; ხელშეწყობილია ეროვნული უმცირესობების პროფესიული განვითარება.
3.1.3	პრეტესტის გადამუშავება	გადამუშავებული პრეტესტის ნიმუში/ვარიანტი (არანაკლებ 2)	სკოლის საქმიანობის კვარტალური /წლიური ანგარიში	სასწავლო რესურსების განვითარების მენეჯერი					II	სახელმწიფო ბიუჯეტი	სრულფასოვნად ხორციელდება ბენეფიციართა ენობრივი დონის დადგენა, გაზრდილია სწავლა-სწავლების ეფექტიანობა.
3.1.4	პილოტირებული სასწავლო კურსების გადამუშავება	გადამუშავებული და დამტკიცებული სასწავლო კურსები (არანაკლებ 4)	დამტკიცების ბრძანება	სასწავლო რესურსების განვითარების მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	გადამუშავებული და საბოლოო სახით დამტკიცებულია პილოტირებული კურსები (აკადემიური წერა; მედიცინის დარგობრივი მიმართულების კურსები; საწყისი ქართულის კურსი რეკრუტებისთვის) პილოტირების შედეგების გათვალისწინებით.



3.1.5	დარგობრივი პროგრამების განახლება	დარგობრივი პროგრამების განახლებული სილაბუსები (არანაკლებ 5); დამტკიცებული პროგრამები (არანაკლებ 5)	დამტკიცების ბრძანება	სასწავლო რესურსების განვითარების მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	განახლებულია დარგობრივი პროგრამები ეროვნული უმცირესობების საჭიროებებისა და კურსების განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებით.
3.1.6	დამატებითი რესურსების, კერძოდ, მოსმენის კომპეტენციის განვითარებისთვის საჭირო სასწავლო მასალების მომზადება	მომზადებული რესურსები (არანაკლებ 6); კურსების რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც მომზადდება რესურსები (არანაკლებ 2)	შეხვედრის ანგარიში; დამტკიცების ბრძანება	სასწავლო რესურსების განვითარების მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	შექმნილია მოსმენის კომპეტენციის განვითარებისთვის საჭირო რესურსები შესაბამისი კურსებისთვის.
3.1.7	დონეების შესაბამისი რესურსების/ტესტურ დავალებათა ბანკის შექმნა	შექმნილი ტესტურ დავალებათა ბანკი ენის ცოდნის დონეების შესაბამისად (ლექსიკური, გრამატიკული, ტექსტები გააზრებისთვის,	საგამოცდო ტესტების ვარიანტები	სასწავლო რესურსების განვითარების მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	შექმნილია ტესტურ დავალებათა ბანკი ენის ცოდნის დონეების შესაბამისად; დაცულია შეფასების სანდოობა და ობიექტურობა საგამოცდო პროცესში.



		მოსმენის დავალება და სხვა); მომზადებული საგამოცდო ტესტების ვარიანტები (არანაკლებ 3)									
ამოცანა 3.2 სახელმწიფოს მიერ ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერა											
3.2.1	არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადება	გადამზადებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლების (არანაკლებ 400) და სკოლის პერსონალის რაოდენობა (ექიმები, ბიბლიოთეკარები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და სხვა) (არანაკლებ 100)	სკოლის საქმიანობის კვარტალური /წლიური ანგარიშები	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	გადამზადებულია არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის ადგილობრივი მასწავლებლები და სკოლის პერსონალი.
3.2.2	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „მეგობრობის სახლის“ ბენეფიციარების სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადება	გადამზადებული ბენეფიციარების რაოდენობა (არანაკლებ 200)	სკოლის საქმიანობის კვარტალური /წლიური ანგარიშები	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამით გადამზადებული არიან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „მეგობრობის სახლის“ ბენეფიციარები.
3.2.3	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტების	საჯარო /საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული გადამზადებული	სკოლის საქმიანობის კვარტალური /წლიური ანგარიშები	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამით გადამზადებული არიან ეთნიკური უმცირესობებით



	საჯარო მოხელეების და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადება	პირების რაოდენობა (არანაკლებ 200)									მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეები და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები.
3.2.4	პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადება	გადამზადებული პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების რაოდენობა (არანაკლებ 1000)	სკოლის საქმიანობის კვარტალური /წლიური ანგარიშები	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი					IV	სახელმწიფო ბიუჯეტი	სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამით გადამზადებული არიან პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები; გაზრდილია ქართული ენის ცოდნის დონე და შესაბამისად, ქართულ ენაზე შემდგომი განათლების მიღების მზაობა.
